



იუსტიციის
სამინისტრო

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრეცედენტული სამართალი

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება [VB v. Natsionalna agentsia za prihodite, C-340/21, ECLI:EU:C:2023:986](#)

მოკლე მიმოხილვა:

2019 წლის 15 ივლისს ბულგარეთის მედიაში გავრცელდა ინფორმაცია კიბერთავდასხმის შესახებ. ცნობების თანახმად, ბულგარეთის შემოსავლების ეროვნული სააგენტოს (Natsionalna agentsia za prihodite, შემდგომ NAP)¹ IT სისტემაში ადგილი ჰქონდა უნებართვო წვდომასა და მასში დაცული პერსონალური მონაცემების ინტერნეტში გამოქვეყნებას. აღნიშნული მოვლენა შეეხო ექვს მილიონზე მეტ ადამიანს, რომელთაგან შვიდასმა, მათ შორის, განმცხადებელმა, NAP-ის წინააღმდეგ ეროვნულ სასამართლოში შეიტანა სარჩელი. მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82-ე მუხლისა და ეროვნული კანონმდებლობის საფუძველზე განმცხადებელი ითხოვდა ზიანის ანაზღაურებას.

საგულისხმოა, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(2) მუხლის მიხედვით, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაიცვას ამავე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრული პრინციპები და შეძლოს მათთან შესაბამისობის დასაბუთება (ანგარიშვალდებულების პრინციპი). მოცემულ საქმეზე ბულგარეთის ეროვნულ სასამართლოში ერთ-ერთ სადავო საკითხს სწორედ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვისთვის მიღებული ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების სათანადოობის მტკიცების ტვირთი წარმოადგენდა.

ამასთან დაკავშირებით, ბულგარეთის ეროვნულმა სასამართლომ წინასწარი გადაწყვეტილების პროცედურის ფარგლებში შემდეგი შეკითხვით მიმართა ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს: უნდა განიმარტოს თუ არა მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(2) და 24-ე მუხლებში მოცემული ანგარიშვალდებულების პრინციპი ისე, რომ რეგულაციის საფუძველზე წარმოებული ზიანის ანაზღაურების დაცვის ფარგლებში, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისროს მიღებული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომების მიზანშეწონილობის მტკიცების ტვირთი.

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში დაადასტურა, რომ მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციიდან (GDPR) ცალსახად იკვეთება, რომ სწორედ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირს ეკისრება პერსონალური მონაცემების სათანადოდ დამუშავების ფაქტის მტკიცების ტვირთი.

მნიშვნელოვანი ამონარიდები გადაწყვეტილებიდან:

49 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(2) მუხლით დადგენილია ანგარიშვალდებულების პრინციპი, რომლის მიხედვითაც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, უზრუნველყოს აღნიშნული მუხლის 1-ელი პუნქტით განსაზღვრულ პერსონალურ მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან შესაბამისობა. აღნიშნული გულისხმობს, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უნდა შეეძლოს ამ პრინციპებთან შესაბამისობის დადასტურება.

50 [...] რეგულაციის მე-5(1)(f) მუხლში ჩამოყალიბებული პერსონალურ მონაცემთა მთლიანობისა და კონფიდენციალურობის პრინციპის შესაბამისად, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უნდა დარწმუნდეს, რომ მონაცემთა დამუშავებისას სათანადოდაა უზრუნველყოფილი მათი უსაფრთხოება, მათ შორის, შესაფერისი ტექნიკური ან ორგანიზაციული ზომების გამოყენებით მათი

¹NAP არის ბულგარეთის ფინანსთა სამინისტროსთან დაკავშირებული უწყება, რომლის უფლებამოსილებებიც, სხვებს შორის, მოიცავს სახელმწიფო ვალის იდენტიფიცირებას, უზრუნველყოფასა და ამოღებას და რომელიც წარმოადგენს მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-4(7) მუხლის მნიშვნელობით.

უნებართვო ან უკანონო დამუშავებისგან და შემთხვევითი დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისგან დაცვა. ამასთან, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს უნდა შეეძლოს ამ პრინციპთან შესაბამისობის დადასტურება.

51 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 24(1)-ე [...] და 32(1)-ე მუხლები მოითხოვს, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა მის მიერ ან მისი სახელით დამუშავებულ პერსონალურ მონაცემებთან დაკავშირებით უნდა მიიღოს სათანადო ტექნიკური და ორგანიზაციული ზომები, რათა დამუშავდეს მონაცემები რეგულაციის შესაბამისად და მოხდეს აღნიშნულის შესაბამისი დადასტურება.

52 მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) მე-5(2), 24(1)-ე და 32(1)-ე მუხლების ფორმულირებიდან ნათელია, რომ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ შესაბამის პირს ეკისრება პერსონალური მონაცემების ისეთი ხერხით დამუშავების მტკიცების ტვირთი, რომელიც უზრუნველყოფს ამ მონაცემების სათანადო უსაფრთხოებას, აღნიშნული რეგულაციის მე-5(1)(f) და 32-ე მუხლების მნიშვნელობით (იხ. ანალოგიის სახით, 2023 წლის 4 მაისის გადაწყვეტილების Bundesrepublik Deutschland (Court electronic mailbox) C- 60/22, EU:C:2023:373 52-ე და 53-ე პუნქტები, ასევე 2023 წლის 4 ივლისის გადაწყვეტილების Meta Platforms and Others (General terms of use of a social network), C- 252/21, EU:C:2023:537 95-ე პუნქტი).

53 ამრიგად, აღნიშნული სამი მუხლი აყალიბებს ზოგადი გამოყენების წესს, რომელიც ამ რეგულაციის 82-ე მუხლის საფუძველზე, გამოყენებული უნდა იქნეს ასევე ზიანის ანაზღაურებასთან დაკავშირებული სარჩელის შემთხვევაში, თუკი მონაცემთა დაცვის ზოგად რეგულაციაში (GDPR) საწინააღმდეგო არ არის მითითებული.

[...]

55 [...] მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციით (GDPR) გათვალისწინებული დაცვის დონე დამოკიდებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვისთვის პასუხისმგებელი პირების მიერ მიღებულ უსაფრთხოების ზომებზე. მონაცემთა დაცვისთვის პასუხისმგებელი პირები უნდა წახალისდნენ, რათა მათ ყველაფერი გააკეთონ, თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში, რეგულაციასთან შეუსაბამო დამუშავების თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან სწორედ მათ ეკისრებათ ამ ზომების მიზანშეწონილობის დადასტურების ტვირთი.

56 [...] თუ დაეუშვებდით, რომ აღნიშნული ზომების მიზანშეწონილობის მტკიცების ტვირთი მონაცემთა სუბიექტებს ეკისრებათ [...], რეგულაციის 82(1)-ე მუხლით გათვალისწინებული ანაზღაურების მიღების უფლება მნიშვნელოვნად დაკარგავდა ეფექტიანობას [...].

57 [...] მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ანგარიშვალდებულების პრინციპი [...] უნდა განიმარტოს იმგვარად, რომ რეგულაციის 82-ე² მუხლის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს დაეკისროს რეგულაციის 32-ე მუხლის შესაბამისად უსაფრთხოების ზომების მიღების მტკიცების ტვირთი.

ეროვნული კანონმდებლობის ნორმის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოების საფუძველი	საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების დანართი I
ევროკავშირის სამართლებრივი აქტი, რომელთანაც მოხდა ეროვნული ნორმის დაახლოება	ევროპარლამენტისა და საბჭოს 2016 წლის 27 აპრილის რეგულაცია (EU) 2016/679 „პერსონალურ მონაცემთა დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვისა და ასეთი მონაცემების თავისუფალი მიმოცვლის შესახებ, რომელიც აუქმებს დირექტივას 95/46/EC (მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაცია (GDPR))“
ევროკავშირის დებულება	რეგულაციის (EU) 2016/679 მე-5(2) და 24-ე მუხლები
ეროვნული ნორმა, რომლის დაახლოება ევროკავშირის სამართლებრივ აქტთან უკვე მოხდა	„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-7 პუნქტი და 27-ე მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტები (სარეგისტრაციო კოდი 010100000.05.001.020936; 13/05/2025)

² მონაცემთა დაცვის ზოგადი რეგულაციის (GDPR) 82-ე მუხლი ეხება ანაზღაურების მიღების უფლებასა და პასუხისმგებლობის დაკისრებას.

	კონსოლიდირებული ვერსია)
საკვანძო ტერმინი	მტკიცების ტვირთი
ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) პრეცედენტული სამართალი	ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს (CJEU) 2023 წლის 14 დეკემბრის გადაწყვეტილება VB v. Natsionalna agentsia za prihodite, C-340/21, ECLI:EU:C:2023:986

ინფორმაცია დამუშავებულია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ევროკავშირის სამართლის დეპარტამენტის მიერ, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებათა ანალიზის საფუძველზე. ანალიზი განკუთვნილია მხოლოდ საინფორმაციო და საგანმანათლებლო მიზნებისთვის და არ ასახავს რომელიმე ორგანიზაციის, დაწესებულების ან სუბიექტის შეხედულებებს.